№ 13

ხუთშაბათი, 19 იანვარი 1895

1877—1895

# ივერია

№ 13

ხუთშაბათი, 19 იანვარი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირიმანოვისა

## გამოფენა

დარჩება მხოლოდ ორს კვირას, რომ ყველას ჰქონდეს შეძლება ჰნახოს
ჩვენის დროისათვის ორის უდიდესის საკვირველებისა

1) **ქონდრის კაცები**

ყველაზედ უპატარესნი ცოლ-ქმარნი დედამიწის ზურგზედ

**მარკიზ ფოლგე**, შობიდგან 38 წლისა, სიმაღლით 28 დიუიმი, სიმძიმით $9^1/_2$ კილ.

**მარკიზა ლუიზა**, შობიდგან 28 წლისა, სიმაღლით 29 დიუიმი, სიმძიმით $10^1/_2$ კილ.

2) ცოცხალნი ბუნებრივად შეხორცებულნი ინდოეთელნი



ტყუპნი-ძანი

**რადიკა და დოოდიკა**

ჩვენის დროისათვის ყველაზედ უდიდესი საკვირველება ბუნებისა



გამოფენა ღიაა ყოველ დღე, დილის 11 საათიდგან საღამოს 10 საათამდის.

ადგილების ფასი დაკლებულია: სკამები 20 კაპ., ფეხზედ დგომით 10 კაპ. ყმაწვილები 10 წლისაზედ ნაკლებნი და ჯარის-კაცნი იხდიან მხოლოდ ნახევარ ფასს. (20—6.—10)

ქართული თეატრი

პარასკევს, 20 იანვარს 1895 წ.
„ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის“ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
ქ-ნ მ. საფაროვისა და ნ. ჯორჯაძის მონაწილეობით
ბენეფისი
ვასილ აბაშიძისა

**რევიზორი**

კომ. 5 მოქმ. გოგოლისა, თარ. ჭიჭინაძესი

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა, ტარიელოვისა და სხვ. ბ-ნნი: ჯორჯაძე, აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მარჯანოვი, ადამიძე, გუნია და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „გავიყარნეთ“, კომედ. 3 მოქმედებად და „სამშობლო“ დრ. 5 მოქ. ერისთავისა

რეჟისორი ალ. მესხიშვილი — ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

## ტფილისი, 17 იანვარი

ბედკრულს კაზიმირ პერიეს იმის შემდეგაც-კი აღარ აძლევენ მოსვენებას, რაც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტობას თავი დაანება და ელისეს სასახლიდან გადავიდა. პარიზის ზოგიერთი გაზეთები ათასს ჭორსა სთხზვენ ამ კაცის შესახებ, რომლის დამტკიცება, რასაკვირველია იმათ, არაოდეს არ შეუძლიათ.

დღეს პერიეს იხსენიებენ და სჭორავენ ისე-კი არა, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, არამედ როგორც კერძო კაცს, კერძო მეოჯახეს. თავ-დაუჭერელმა შურისძიებამ და ყბა-ახეულმა ჭორიკანობამ თვით კაზიმირ პერიეს ოჯახშიაც ჩაიხედა და სცდილობს ჩირქი მოსცხოს მას, როგორც კერძო კაცს. ეს გაზეთები პრეზიდენტის სამსახურიდგან გადადგომის ერთს უმთავრესს მიზეზად იმასა სთვლიან, რომ ვითომც პერიეს ჰყვარებოდეს ახლად გარდაცვალებულის ბურდოს ქვრივი, მშვენიერი კრეოლის ასული, მაგრამ რადგანაც «პრეზიდენტად ამორჩევის დროიდგან ვეღარ შეეძლო შეუმჩნევლად და თავისუფლად ეარნა ბურდოს ქვრივთან და აგრეთვე ვერც თითონ ეს ქალი ივლი და თავისუფლად ელისეს სასახლეში, კაზიმირ პერიეს ნაღველი მოერია, ხასიათი წაუხდა, გაანჩხლდა და რიგიანად ვეღარ მიჰყავდა თავისი საქმეო; მით უმეტეს, რომ ცოლთანაც კარგად არ არის და განშორებასაც სცდილობსო“.

აი ასეთს ცილსა სწამებენ იმას, ვინც ამ რამდენისამე დღის წინად პირველ კაცად ითვლებოდა საფრანგეთში, იმ საფრანგეთში, რომელიც ერთ მოწინავე სახელმწიფოდ დასახულია, ერთს უგანათლებულესს და დაწინაურებულ ქვეყნად არის აღიარებული მთელის დედამიწის ზურგზედ!

მაგრამ განა თვით პერიემ არ აღიარა, რომ იმ ცილისწამებათა და დამცირებას, რომელსაც ჩემს შესახებ ავრცელებენ, ვეღარ გავუძელ და სამსახურიდგან გადადგომას ვამჯობინებო?! განა არ ამცნო მთელს საფრანგეთს და ამასთანავე მთელს განათლებულს კაცობრიობას, რომ სხვა-და-სხვა საპოლიტიკო დასთან ბრძოლა, მათი ყბად აღება და უნდობლობა მაიძულებს სამსხურს თავი დავანებოო? მაშ რაღა საჭიროდ შეექნათ გაზეთებს ასეთის უპატიოსნო იარაღის ხმარება, რომლითაც არა თუ არ ასვენებენ პრეზიდენტობისაგან გადამდგარს მოღვაწეს, არამედ ჩირქსა სცხებენ სრულიად გარეშე მანდილოსანს. შეიძლება კაზიმირ პერიეს საქციელს მცირეოდნადაც არ ამართლებდეს უკვე გამოცხადებული მისგან მიზეზები სამსახურის თავ-დანებებისა, რადგანაც მამულის სამსახური, მისთვის შრომა და თავ-განწირვა კაცის უპირველესი მოვალეობაა, მაგრამ სიმტკიცე ასეთს შემთხვევაში კაცის ხასიათზედ, მის ტემპერამენტზედ, მის ზნეობა-გონებრივ განვითარებაზეა დამოკიდებული.

აი, ამ საიდუმლოს გაგებისა და კაზიმირ პერიეს პსიხოლოგიის გამოკვლევის ნაცვლად, ერთი ჭუჭყიანი, არამც თუ დაწინაურებულის ერის შეუფერებელი, არამედ თვით უბრალო კაცისათვისაც-კი, ჭორი აუდიათ და უმთავრესს მიზეზად იმას ასახელებენ.

დიაღ, ადვილად შესაძლებელია, რომ რომელიმე მოღვაწე, თავისის ღვაწლისა და შრომის მიუხედავად, ზნეობით დაცემული იყოს (ამის მაგალითები ბევრია ისტორიაში), მაგრამ ესეც ისტორიის მკვლევართა საქმეა და არა თანამედროვე მწერალთა, რომელნიც განმსჭვალულნი არიან სიძულვილითა და მტრობით ხსენებულს მოღვაწის მიმართ!...

ან-კი ვისთვის რა ხეირ-საყრელი და სასარგებლოა ეს ამბავი?—ბრბოს კიდევ მიეტევება, მაგრამ

## ფელეტონი

* * *

ვუძღვნი
(Miss Marjory Wardrop-ს)

ზამთრის სუსხი სდგას: მთა-ბარსა
თეთრი ზეწარი ჰფენია,
ვარდ-ყვავილთ ბულბულსა
ჯერ არსად დაუსტვენია!..

—

შორს მიჩქმალულა სადღაცა
გულით კრძალი მგმინავი
და სდუმს ტრფიალი ვარდისა
მისი ყმა, მისთვის მსტვინავი...

—

როდის-ღა მოვა მერცხალი,
მახარებელი გულისა,
ჭიკჭიკ-ჟღურტულით მფრინავი,
მორბედი გაზაფხულისა,—

—

რომ მან ზამთრისგან ნაგრულთა
გული დაატკბოს, ახაროს
და გაზაფხული, ცქრიალა,
მოგვიკისკასოს, გვახაროს!..

—

მაგრამ რას ვნატრობ! აჰა ის,
ას კურთხეული ფრინველი,
ღმერთთან თავმდები ერისა,
გალობით მსხვერპლის მწირველი!

—

გადმოფრენილა შორიდგან,
მოსულა ჩვენსა ზღუდესა,
დაჭყურებს ზამთრის სუსხისგან
დანგრეულს ბულბულთ ბუდესა...

—

უმზერს და თანაც ჭიკჭიკებს:
„დღე უმოკლდება ზამთარსო,
კოშწია, ცელქი აპრილი
თქვენთან სასტუმროდ მზად არსო...

—

იხარეთ!.. თქვენსა მთა-ბარსა
კვლავ ნახავთ ყვავილოსანსო,
ჩანგი კვლავ აუღერდება
თქვენს გულ-დაწყვეტილს მგოსანსო!..“

—

ნუ თუ, მერცხალო, ზამთარსა
თოვლ-სუსხი გაუწბილდება
და ჩემი ტურფა მამული
ხელ-ახლად აბიბინდება?!..

—

თუ ეს ასეა, დიდებით
თაყვანს ვცემ შენსა ინდოსა
და, ვფიცავ, ჩემმა მთა-ბარმაც
შენ წრფელის გულით გინდოსა!..

განდეგილი

## კაცობრიობა და ხალხოსნობა.

წერილი I-ლი

კოსმოპოლიტობა და პატრიოტობა

ამ მოკლე სიტყვით მოყვანილთ ბუნების კანონია გარდა ათასი სხვა მოვლენანი და კანონებია ბუნებისა, სოციოლოგიისა, რომ ერთის უბედურება ჰკარგავს, თუარა აბრკოლებს მაინცა სხვების ბედნიერებას. ამასთან თუ მეზობელს უშვერს ხალხს თავისს რეგვნობასთან შესწევს სამხედრო ძალაცა, მაშინ ხომ ამ გვარი უშვერი ხალხის ძლიერება დამამხობელია ცივილიზაციისაც და კაცთა წარმატებისაც, რომლის მაგალითების საპოვნელად შორს წასვლა არა განათლებულს კაცს არ დასჭირდება. ამგვარი ხალხი თავისს ბედნიერებას მარტო სხვა ხალხების ძარცვასა და დაპყრობაში ჰხედავს. ამის გამო, როგორც ზემოთაც ითქვა და ქვემოთაც კიდევ გვექნება ლაპარაკი, ამ გვარს ხალხს ყოველი თვისი ძალა სამხედრო წყობილებაზედა აქვს მიჩენილი და ის ადვილად შეჰმუსრავს,—თუ არა მაინცა და მაინც ნიადაგ ემუქრის განათლებულთა და დაწინაურებულთა ხალხთა. ამგვარმა გარემოებამ ათქმევინა ბოკლს ერთს ამ გვარს ხალხზედ, რომ ოთხი განათლებული სახელმწიფო იძულებული გახდა შეთქმულიყო ამაზედ, რადგან ამ უშვერს ხალხს განათლებულნი უყურებდნენ როგორც გუნებს, მათს ხელმწიფეს, როგორც ატტილას, რომელთაგანაც განათლებასა და ცივილისაციას ნიადაგ შიში და საფრთხე ელოდაო.

ეგრეთვე არ შეიძლებოდა გამოჰპარვოდა კაცთა გონებას ამ გვარი გარემოება. არა გამარჯვებული და სხვათა მძლეველი ხალხი ვერ გამოიტანდა მას თავისგან ძლეული ხალხებისაგან, რაც წაუხდა ამათი დამორჩილებით შინა და მოსცდა შინაურს საქმეებს. თითქმის ყველა ადგილებს, როგორც აჩვენებდა კიდეც ამაზედ მეცნიერება, შეუძლიანთ შენახვა, არამცთუ დღევანდელთა მცხოვრებთა, ერთიათად, ერთი ასათ ამაზედ მეტსაც ჯერ დღევანდელს შეუმუშავებელს მეცნიერებაზედ რომ იყვეს დამყარებული მიწა—ბუნების შემუშავება და მოვლა. და თუ იმ ნაბიჯებით წავიდა მეცნიერება წინ, რა ნაბიჯითაც შეუძლიან წასვლა, რომ არ უცრიდეს ამას ხელს ათასი ცრუ-მორწმუნოება და უვარგისს საქმეებზედ ადამიანის გონისა და ხელის მოცდენა, ეგრეთვე მოცდენა ამავე მეცნიერებისა ათასს სავნებელს საქმეზედ,—მაშინ ხომ ყველა ქვეყანა დაიტევს და შეინახავს, რაოდენობამდისაც უნდა მიაღწიოს ხალხთა გამრავლებამ და, თუ ამის მაგივრად, რომ შეუდგეს თავისი ქვეყნის შინაური საქმეების მოვლა-წარმატებას, დაადგება სხვათა ხალხთა ძალადობის გზას, ის ვარდება ამ გვარს გარემოებაში. ვთქვათ, ერთმა ხალხმა დაიპყრო მეორე, გადაახდევინა დიდი გადასახადი, დაიპყრო იმათი ადგილ-მამულები. რა-კი ამ გამარჯვებულს ხალხს სწავლა არა აქვს, არ არის მომზადებული, არ არის მიდარაჯებული და მიჩემებული ბუნების შესასწავლად და მოსახმარებლად, რა უნდა ჰქნას მაშინ? ბუნება ხომ თავის თავად არას იძლევა, ან თუ იძლევა ძალიან მცირეს. ხალხმა, რომელმაც არ იცის ცოტას მოვლა, ვერ მოუვლის ბევრსაც. მაშასადამე, ეს დაპყრობილი ქვეყანაც არას მოსცემს ამასა. რა-კი ეს ხალხი გამოსწოვს ტვინს დაპყრობილს ქვეყანას, შემოაკლდება კიდევ საზრდო, იმატებს უფრო ნაკლებობა და სიმშილი: თუ აქამდის მარტო თვითონ ეს ხალხი იყო დამშეული, ახლა ამას მოემატა დამშევაც დამორჩილებული ხალხისა. მაშინ მეტი გზა არ არის, უნდა დაიძრას ისევა, მიესიოს სხვა ხალხს, დაიპყრას მისი ადგილები და დროებით აქ მოინაცვლოს ხელი. მაგრამ აქაც მისი უმეცრება თავისი თავის ტვირთათა ჰხდის ამ დაპყრობილს ხალხსაცა. და ამ გვარ, რაც ხანი გავა, იმდენი უნდა უფრო გაება დაუცხრომელს ომებს, ბრძოლას, მოსისხარობას, და იმდენი უფრო სამძიმო ხდება, როგორც დამპყრობელთ, ეგრეთვე დაპყრობილთ ხალხთ.

რა ხდება შინ ამ ხანებში ამ ხალხების თავს, ესე იგი მყრობელთა ხალხთა თავს? ის, როგორც ითქვა, უნდება ნიადაგ ომებს, ვეღარ იცლის შინაურის საქმეებისათვის. ეს ანდომებს თავის შვილთ უკეთესს ძალას, უკეთესს მუშა ხელს ბრძოლისა და საომარს საქმეებს. ეს კიდევ არაფერი. რავდენიც უფრო მეტს ქვეყნებს იპყრობს ამ გვარი ხალხი იმდენი უფრო მეტი ძალის გატანა და გაყვანა სჭირდება შინიდამ. ეს მიტომ უფრო ხდება, რომ დაპ-

ეს ჭორი მწერლობამაც გაიზიარა, ჟურნალ-გაზეთებმა წაუშლელის ასოებით აღბეჭდეს და დღეს მთელს განათლებულს კაცობრიობას არწმუნებენ, რომ პერიეს სამსახურიდგან გადადგომის უმთავრესი მიზეზი ვითომ ბურდოს ცოლის სიყვარული იყო. ასე სჯის და ჰფიქრობს საფრანგეთის ზოგიერთი გაზეთი.

,,თუ კი დაწინაურებული ხალხის მწერლობა ამას სჩადის‘‘ იტყვის ვინმე ,,მაშ რაღა დასაგმობი უნდა იყოს ჩვენის ახალის ლიტერატურულ ენის შემქნელ „კვალის“ (№ 1) ექსპრომტი, რომელიც იმ გვარისავე ხასიათის ამბავს მოუთხრობს მკითხველს ქუთაისის ერთისცნობილის მოღვაწის შესახებ.

მაგალითის გადმოღება განათლებულ ქვეყნებისაგან, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ არა ისეთის მაგალითისა, რომელიც ამცირებს მწერლობას და ერთიანად ძირს უთხრის საზოგადობრივ წესიერს და მართებულს დამოკიდებულებას.

ამ გვარი საფრანგეთის გაზეთების საქციელი, რომლით ისინი სცდილობენ გაიგონ კაზიმირ პერიეს საარშიყო ამბები, და ამ გზით სიარული, რასაკვირველია, ვერც ერთს ორგანოს ვერ მიიყვანს პატივისა და თანაგრძნობის მოედნამდე.

ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ საგანს და ვეცდებით განვსაზღროთ ისეთი შინაური სფერა საზოგადო მოღვაწისა, რომელსაც მწერლობას ნება აქვს ფარდ აჰხადოს.

ი.—ძე.

## მთავრობის განკარგულებანი

—

ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელში 1894 წლის 1 დეკემბრიდგან მასწავლებლად დაინიშნა ალექსანდრეს სამოსწავლო ინსტიტუტში სწავლა დამთავრებული გიორგი ხოშტარია.

ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის შტატს გარეშე მასწავლებელი ივანე ნიკოლაევი გადაყვანილ იქმნა გორის სამოქალაქო სასწავლებელში მასწავლებლის თანაშემწედ პირველ დეკემბრიდგან 1894 წლისა.

მღვდლის შვილი პოლიევქტო ცინცაძე დაინიშნა ფოსტის მსახურად ტფილისის ფოსტა-დეპეშის კანტორაში, 11 იანვრიდგან, ხოლო არტემ ბერიკაშვილი ამავე თანამდებობიდგან დათხოვნილ იქმნა წარსულის წლის 11 დეკემბრიდგან.

# ახალი ამბავი

—

*** როგორც შევიტყეთ, კვირას, 22 იანვარს, სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში კრება იქმნება სავაჭრო „შუამავალთა“ საზოგადოებისა, რომლის დროებით ამორჩეული კომიტეტი წარუდგენს განსახილველად რამდენსამე საყურადღებო საგანს.

*** „მნათობის“ რედაქტორად ყოფილს ნ. ავალიშვილს განუზრახავს ცალკე წიგნად დაჰბეჭდოს მის მიერ ნათარგმნი და „მნათობში“ დაბეჭდილი „ლუკმა პურის ამბავი“, დოქტორ მასესი. ეს წიგნი ყველა ენაზედ არის გადათარგმნილი. ქართულ ენაზედაც ჩინებული თარგმანია და ეს დაბეჭდვის უმალვე იქმნა ქართველთაგან მოწონებული.

*** ს. ნიგოითი (გურია): აქეთ ძალიან კარგი დარებია. ზამთარი ისე მიდის, რომ თოვლი თვალითაც არ გვინახავს, მაგრამ ეს მაინც ჩვენს წყლულსა და ნაკლს ვერაფრით ჰშველის. აგერ თორმეტი წელიწადია მას აქეთ, რაც უეკკლესიობასა ვჩივით მთავრობასა და ყველა იმასთან, ვისთანაც-კი გვეთქმის რამე ამ საქმის შესახებ, მაგრამ ჩვენი თავ-გამოდებული ცდა ფუჭი და უნაყოფო დგება. ამ თორმეტის წლის განმავლობაში კიდევ დაგვიხარჯავს 6,000 მანათამდის, მაგრამ საშველი არა გვექნა-რა. ჩვენ მიერ გაგზავნილმა სოფლის ამორჩეულმა კაცმა ბევრჯელ გააცნო ეს ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა ტფილისის სასულიერო კონსისტორიასა, მაგრამ კიდევ ვერას გავხდით. ამიტომ დიდად საკეთილო საქმე იქნება, რომ ვისაც შეუძლიან, ან ვისიც ჯერ არს, შეგვატყობინონ, რითი გათავდა ეს ჩვენის ეკკლესიის საქმე და ან რა დაადგინა სასულიერო კანსისტორიამ. ჩვენის მხრივ ვთხოვთ ბ-ნ კიკნაველიძეს რაიმე პასუხი მოგვცეს ამის შესახებ.

*** ქ. შუშა. ამ ხუთის დღის წინად ქ. შუშიდგან ეტლით მოდიოდა მღვდელი თეოხარი, რომელიც სპილენძის მადნებში იყო მღვდლად. მგზავრობის დროს, ღამის 3 საათზე, დასცემიან ავაზაკები და ისე გაუძარცვავთ, რომ ტანისამოსიც-კი არ შეურჩენიათ.

*** ს. წილკანი: ჩვენის სოფლის მცხოვრებთ გლეხთ ერთი გულ-შემატკივარი ექიმი აღმოუჩნდა, ვილაც ვაჭარი ბეგლარ ხითარიანცი, რომელსაც საიდგანღაც და რაღაც ნაირად ჩაუგდია ხელთ სხვა-და-სხვა სამკურნალო წამლები და გლეხებში ჰყიდის, რაც უცოდინარობისა გამო ბევრს უბედურს შემთხვევას იწვევს ხალხში. კარგი იქნებოდა, როგორმე ალაგმავდნენ ამ კაცის ვერცხლ-მოყვარეობის სურვილით გამოწვეულს გულსმოდგინეობასა

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“ გვაუწყებს, რომ თავ. ზაქარია გიორგის ძე ერისთავი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის ქართველ-სტუდენტებისათვის ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში სამს სტიპენდიას აარსებსო. ამ აზრით თავადს ზ. გ. ერისთავს პროფესორ პეტრიაშვილისათვის მიუმართავს, რომლისაგანაც საჭირო ცნობებს მოელის. სტიპენდიები იქნება დანიშნული: ერთი საფიზიკო-მათემატიკურს ფაკულტეტზედ, მეორე საისტორიო ფილოლოგიურზედ და მესამე მომავალს სამკურნალო ფაკულტეტზედ; ერთი ამათგანი იქნება დაარსებული თვით თავ. ზ. გ. ერისთავის სახელით, მეორე—თავ. გიორგი რომ. ერისთავისა და მესამე კნეინა ანნა ივანეს ასულის ერისთავის სახელობაზე.

*** კავკავი: კარგა ხანია, რაც კავკავის ქართველობას არ მოუსმენია სამშობლო ენაზედ წირვა ლოცვა. ამიტომ წლევანდელი 14 იანვარი, წმ. ნინოს მიცვალების დღე, სწორედ დაუვიწყარი იქნება აქაურ ქართველებისთვის... ამ დღეს მამა ბაკურაძემ, რომელიც საკუთრად ამ საგნისთვის მოვიდა სოფლიდგან, სხვების დახმარებით სწირა ქართულად კავკავის ძველ საკათედრო ტაძარში, სადაც ბლომად მოიყარა ხალხმა თავი. ხალხი ისეთის აღტაცებითა და გულმოდგინებით ისმენდა მშობლიურს ენაზედ ლოცვა-მოძღვრებას, რომ უმრავლესობას თვალებში ცრემლები უბრწყინავდა მეტის-მეტის სიამოვნებისაგან. ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ამ წირვამ, რომ ხალხს კარში გამოსვლა არც-კი უნდოდა საყდრიდგან, როდესაც გათავდა. კარგი მოქმედება იქონია აგრეთვე აქაურ ქართულ სკოლის მოსწავლეების გალობამ, რისთვისაც მადლობის ღირსია მასწავლებელი ლ. ბ—ძე. წირვის შემდეგ მამა ბაკურაძემ იქადაგა და ვრცლად განუმარტა ხალხს წმიდა ნინოს მოღვაწეობა, თუ როგორ მოვიდა საქართველოში, როგორ გაანათლა იგი და სხ... სწორედ დიდის მადლობის ღირსნი არიან ისინი, რომელთაც ითავეს ეს საქმე და აქაურ ქართველობას მისცეს შეძლება სამშობლო ენაზედ წირვა ლოცვის მოსმენისა. იმედია, შემდეგის დღესასწაულებისთვისაც ითავებენ და ასევე დაუტკბობენ ხალხს სმენას ქართულის წირვა-ლოცვა-გალობით, როგორც ეხლა.

*** ნუკრიანი 12 იანვარს ს. ბოდბეში მცხოვრებელი იორდანე ძმანაშვილი მოდიოდა სიღნაღიდან ნასვამი, და გზაზედ შეხვდა ფოსტის ეტლი, რომელშიაც იჯდა მაჩხაანის სადგურის სტაროსტა და მეეტლე ნასვამები. ი. ძმანაშვილმა ზედ ასვლა მოინდომა და ნება არ მისცეს, მაგრამ მაინც არ მოეშო, ბოლოს რადგანაც სიმთვრალის გამო ვერ ავიდა, ეტლს მოეთრია და უცებ თვალში მარცხენა ფეხი ჩაუვარდა და მოსტეხა. საბრალომ ჯერ ვერ გაიგო, ისევ ადგომას აპირობდა, მერე გაუხსნეს. უნახეს და შიგ კოჭში ჰქონდა მოფშვნეტილი, აქვე მიმავალს ურემზედ დააწვინეს და ნუკრიანში ისე მიიტანეს.

## წერილი ბათუმიდგან

(მოწერილი ამბავი)

ჩვენი სალაპარაკო საგანი დღესაც ისევ არჩევანებია და ახალ ხმოსანთა მოქმედება. მოგეხსენებათ, რა წესიერად და იშვიათის ერთობით ჩაიარა ბათუმში საარჩევანო ბრძოლამ. ყველა მოხარული იყო, და არავის იმის ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ისევე ერთგულად და მოსაწონისად არ დასრულდება ის საქმე, რომელიც ასე მშვენიერად იყო დაწყებული. რუსი,

---

ყრობილნი ხალხნი არ ივიწყებენ თავის ქვეყნებს, თავისჩაგვრას, თავისუფლების დაკარგვას, უცხო თესლთა ბატონობას, და ნიადაგა სცდილობენ, ცხადლივ თუ მალვით დამმონავებელთა დაცემას, გაძევნას. რაკი ამ გვარათა ჰშლის და ჰფანტავს ეს გაძლიერებული ხალხი თავის ძალას, ის უძლურდება. უძლურდება ორ გვარად. ჯერ მით, რომ უკეთესნი მუშაკნი, ფიზიკური და გონებრივი ძალა ხალხისა გადის გარეთ საომრათა და დამონავებულთ ხალხთა ხელში მაგრად დასაჭერად. ესენი ამითი სცდებიან შინ საქმეს, ხდებიან შესანახნი შინ დარჩენილთა, რომელნიც ამათზედ უფრო უძლურნი არიან. ერთის სიტყვით, მის ნაცვლათ, რომ ამ უკეთესთა მუშაკთა შინ ეშრომათ, შეეძინათ ქვეყნისათვის მეტი საზრდო, ახლა, არამც თუ უკეთესთა ხელთა და გონთა ნაშრომი და ნაყოფი აკლდება ამათ ქვეყანას, თვით ესენიც ხდებიან შესანახნი სხვათა.

გადავავლოთ თვალი, რა მოსდევს სახლში ამგვარს ეკონომიურს გაუძლურებას. ეკონომიური უძლურება აუძლურებს კაცს აგებულობითაც, გონითაც, ზნეობითაც. თუ ამ უძლურებამ გასტანა მრავალს თაობაში, ხდება ხალხის სამკვიდრო ნიჭათ. ხალხი დაბადებითვე ხდება უძლური, და ეს უძლურება რაც უფრო ბევრი ხანი გასტანს შთამამავლობაში, იმდენი უფრო ძლიერდება ამ შთამამავლობას აგებულებაში.

ეს ზარალი ეკონომიური მხრიდამ, ვნახოთ ახლა, რა მოსდევს ხალხისთვის უკეთესთა აგებულებათა და გონით სამშობლოს მოშორებას, გარეთ მოცდენას.

რაკი ეს უკეთესნი ქვეყნის შვილნი გასულან გარეთ, და ამ გარეთ ყოფნის დროს ცოლშვილობა ამათი შემძლებელია, ესენი არ იძლევიან,—თავის ქვეყანაში მაინცა და მაინც, შთამამავლობას. უკეთუ ამ უკეთესთაგან ქვეყანა აღარა შენდება, ცხადია შთამამავლობას აკლდება უკეთესთა ნაშენობა. ამას მოსდევს გაწრიოკება ხალხისა. ხანთა განმავლობაში ეს გაწრიოკება ხდები სამკვიდრო და რაც ხანი გადის უფრო და უფრო ძლიერდება ეს ხალხის აგებულბაში. ამ გვარად, ორ მხრივ შედის ხალხის აგებულებასა და გონში გაწრიოკება: ერთი ეკონომიურის მიზეზით, მეორე ფიზიკურისა და ფიზიოლოგიურის მიზეზებით. რომ კარგათ ჩავაკვირდეთ ისტორიას, ვნახავთ რომ უმთავრესი მიზეზი გაძლიერებულთა ხალხთა მოუძლურებისა ყოფილა ეს მხედრობა და მხედართა მოცდენა შთამომავლობის მოცემაში. არც ერთს ამ გვარს ხალხს, თუ ის არ გაახლებულა სხვა ხალხთა სისხლით, აღარ გამოუჩენია შემდეგში აღარც ის ნიჭი, აღარც ის ძალა და ენერგია, რაც თავისი ძლიერებისა და დაკარგული დიდების დროს ჰქონია. ხალხთ ბუნებაშიც იგივე ეკონომი ძალისა ჰმოქმედებს, რაც თვით ბუნებაში. ყველა ხალხს, როგორც თვითეულს კაცს, აქვს თავისი ძალა, რომელსაც თუ მოუმატებ—მოიმატებს, მოუკლებ—მოიკლებს. თუ ამ ძალას არ გაუფრთხილდი, როგორც ჯიბეს, ის ილევა, იფლანგება, იკარგება, ჰქრება. ყველა გონიერმა ორგონომმა იცის, რომ მიწას აქვს თავისი რომელიმე ზომის ძალა. თუ ეს ძალა მისი ხმარებით ამოაცალე და აღარ დაუბრუნე მიწა ჰკარგავს ნაყოფიერებას, უძლურდება, სრულიად იფიტება. თუ იცი მოვლა და ეხლი მიწისა, შეგიძლიან უფრო გააკეთო, გაასუქო, ნაყოფიერ ჰყო. ასრეთივეა ხალხთა ძალაცა. თუ იქიდამ ამოგაქვს ამათი უკეთესი შერმადგენელი ნაწილები, და სამაგიეროს აღარ უბრუნებ, ის უძლურდება, ილევა, მქისდება, იღუპება. თუ იცი მოვლა, იცი ხელი, შეგაქვს ნაყოფიერებაში სადი ელემენტი, მკვიდრი შთამამავალის მაწარმოებელი ძალა, წავა ხალხი წინ, გაძლიერდება როგორც ფიზიკურად, ეგრეთვე გონითა, ზნით. ერთი უმთავრესი მიზეზი ეს ხალხთა უკეთესი ძალის დაუზოგავობა და გაუფთხილებლობა იყო, რომ სწორეთ იმ დროს, როდესაც ამგვარს გაძლიერებელს ხალხს ჰგონებია თავისი თავი უძლეველი, ის დაცემულა ისე მტრის ძლიერებით არა, როგორც ამგვარი თავისი გონისა და ფიზიკური უძლურებათ. დრეპერმა და მისთა მიმადევართა, რომელთაც ისტორიაში ეს გარემოება გამოეპარათ, უძლურება ხალხისა მიაწერეს სიბერეს. დაავიწყდათ, რომ ხალხის სიბერე შესაძლებელი ყოფილიყო, სხვა მოსპობილ ხალხებთან. აქამდის კაცობრიობაც უნდა მოსპობილიყო, რადგან ყველა ხალხები ერთის წინაპარიდგან მომავალობენ, და, მაშასადამე, ყველანი ერთსა და იმავე ხანში უნდა დაბერებულიყვნენ და მოსპობილიყვნენ. როგორც ერთგანაც („სტ. საქართვ. „მნათობი“ 1872 წ.) მითქვამს, სიბერე კაცობრიობისა შეიძლება, და რომ ერთი ხალხი მეორეზედ ადრე დაბერდეს—შეუძლებელია... თქმა არ უნდა მარტო ეს მიზეზები არ არიან გაძლიერებულთა ხალხთა მომსპობნი, დამცემნი. აქა აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ ამ გვარი ხალხნი იძულებულნი ხდებიან შეავსონ თავისი ჯარი დაპყრობილთა ხალხთა ჯარებით, რომ მათით გაუძლვენ თავისს აღებულს გზას, და რაც მოსდევს ამას, ვიცით, ყველა გაძლიერებულის ხალხის ისტორიიდამ.

ესა და ამ გვარი მოსაზრებანი უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კოსმოპოლიტურთა აზრთა და სწავლათა.

### III

მაგრამ, თუ პატრიოტობა აღორძინდა ისრეთს საძირკველზედ, რომელსაც უნდა მიეცა ამისთვის ამ გვარი სახე, კოსმოპოლიტობამაც, რომელიც აღორძინდა კეთილსა და სამართლიანს ნიადაგზედ, აუქცია ბევრში სწორე გზას, თუმცა განგებ და ბოროტის განზრახვით-კი არა, შეცდომით, საქმისა და გარემოების აუწონრობით. მაგალითად, პრუდონმა და მისთა მრავალთა მიმდევართა აღიარეს: ნაციონალური, სახალხოსნო ლტოლვილება, მეცადინეობა სავნებელია საერთო საკაცობრიო საქმისათვისაო. ამის გამო, გარიბალდის, კოშუტს, მაძინის და სხვათა ამ გვართა კაცთა საქმეებს ჰკიცხავდნენ, ჰხედავდნენ სავნებლად. ამერიკელი მეცნიერი და ამ რესპუბლიკაში ერთი უპირველესი პირთაგანი, თომა კუპერი ხომ პირდაპირ ამტკიცებდა: ნაცია გრამატიკული ტერმინია, რომელსაც არავითარი რეალური მნიშვნელობა არა აქვს, ეს მხოლოდ მოსჩვენებიათ სხვა და-სხვა პოლიტიკოსებსაო. ეკონომიური სწავლა ამ გვარი ხომ, კენედამ და ადამ სმიტიდამ დაწყებული სეიმდის გავრცელებული მთელს ეგრედ წოდებულს კლასიკურს პოლიტიკო-ეკონომიურს სწავლაში. სოციოლოგიაში ევოლიუციონურმა სწავლამ ხომ სულ უარჰყო ნაციონალური წადილნი. მათთვის იყო აბსოლიუტური ევოლიუცია, და მას უნდა ჰნაცვალობოდა ნაციაცა და ნაციის შერმადგენელნიც.

მე ზემოთვე ვთქვი, რომ შეხირება, უთანხმოება უფრო ხშირადა ხდება ერთმანერთის აზრის მიუხვედრელობით, გამოურკვევლობით, გაუგებრობით, აუწონრობით. მართალია, პატრიოტობა აშენდა ისრეთს საფუძველზედ, რომ, თუ არ აუქცევდა თა-

სომეხი, თუ ქართველი, სუყველა დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალს აქაურ არჩევანების მიმდინარეობას, და ახლა, თუ არ იმატა, არ უკლია ამ ყურადღებას. მაგრამ, უნდა გამოტეხილი ვსთქვათ, წინანდელი ერთობა სულაც აღარ ეტყობა ბათუმის ქართველობასა და განსაკუთრებით ახალ არჩეულ ხმოსნებს. ეს, რაღა თქმა უნდა, მეტის-მეტად საწყენი და მავნებელი გარემოებაა. დაიბადა „ჩვენებური, ძველებური“ მითქმა-მოთქმა და წვრილმანობა, სენად ქცეული „შენ-ჩემობა“.

როგორც მოგეხსენებათ, ახლანდელი საბჭო შესდგება 36 ხმოსნისაგან. ამათგან 19 ქართველია, 12 რუსი და 5 ბერძენი. ქართველობა ორად არის გაყოფილი, თუ მეტად არა. ამის გამო ვერ შემდგარა უმეტესობა, რომელმაც უნდა აირჩიოს ქალაქის თავი. ასეთს ყოფას ძალიან უწყობს ხელს კანდიდატთა სიმრავლე. კანდიდატებად ასახელებენ, თუ თითონ ისახელებენ თავს,—ექვსიოდ-შვიდიოდე კაცს. ერთი-ორი მომხრე ყველას ჰყავს. მოსალოდნელია, რომ პირველ არჩევის დროს (შეიძლება მეორედაც) ყველა გაშავებულ იქმნეს. კანდიდატების სიმრავლე ჰბადებს სხვათა შორის მითქმა-მოთქმის სიმწვავეს. ენის მიტანა და ერთმანეთის გადაკიდება ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, უფრო ადვილია. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება, ძალიან შეთვისებულა ამგვარ ქცევას. ამგვარ მოქმედებისათვის უფრო დამზადებულია ნიადაგი. ერთის მხრით ეს აბრკოლებს არჩევანებს და, მეორეს მხრით, სხვა გარემოება, ხმოსნებისაგან დამოუკიდებელი. საბჭოსაგან არჩეულმა კომისიამ გადასწყვიტა ქალაქის გამგეობაში მოსამსახურე პირთათვის გადაჭრილი ჯამაგირი, წინანდელზე მომეტებული, და ამის საბუთიც ვრცლად მოახსენა საბჭოს, რომელმაც განიხილა ყოველი გარემოება და მოიწონა კომისიის აზრი. საჭირო იყო, რომ ეს დადგენილება დაემტკიცებინა გუბერნატორს. თუ ორის კვირის განმავლობაში იმის პასუხი არ მოვიდოდა, საბჭოს დადგენილება დამტკიცებულად ჩაითვლებოდა კანონისამებრ. სწორედ მე-14 დღეს გუბერნატორმა მოიწერა ქაღალდი და, თუმცა უარი არ შემოუთვლია, მოითხოვა ზოგი დამატებითი ცნობა, რომელიც აკლდა გაგზავნილ მოხსენებას. გუბერნატორმა მოისურვა, რომ ეცნობოს, თუ რა წყაროდამ შეივსება მომატებული ჯამაგირი, რადგან წარდგენილ მოხსენებაში არ იყო ნაჩვენები ეს წყარო, და ამასთანავე აწ მდგომარე 1895 წლის მოსალოდნელი ხარჯთ-აღრიცხვაც ხელთ არ ჰქონდა, ხოლო წარსულის წლის აღრიცხვით მოსამატებლად არა რჩება რაო.

საბჭომ კვლავ განიხილა 9 ამ თვეს გუბერნატორის მოწერილობა და დაადგინა: რადგან ახალის ხარჯ-აღრიცხვით, მომეტებული ჯამაგირიც რომ ყურადღებაში მივიღოთ, არა თუ დეფიციტი არ არის მოსალოდნელი, არამედ კაი ძალი თანხა გადარჩებაო კიდევ ხარჯს, და რადგან წინად მოხსენებული მოსაზრება ყოვლად პატივ-სადებია, ამიტომ ეთხოვოს გუბერნატორს, რომ საჩქაროდ დაამტკიცოს წარდგენილი დადგენილება, თორემ ისეც დაგვიანებული არჩევანები კიდევ უფრო დაგვიანდებაო.

იმედია, რომ ამ ცოტა ხანში მოვა გუბერნატორის პასუხი, და მაშინ კენჭი გაასწორებს ჩვენს დას-დასად დაყოფილ ხმოსნებს.

ა.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ამ ჟამად პარიზში ათას გვარი მითქმა-მოთქმა და ჭორები დადის, რომლითაც ვითომ-და ნამდვილს მიზეზებს უჩვენებენ პერიეს სამსახურიდგან გადადგომისას.

მაგალითად, „Berliner Tageblatt“-ი გვაცნობებს: „პერიეს პრეზიდენტობიდგან გადადგომის ნამდვილ მიზეზად ბიურდოს ქვრივთან კავშირს ასახელებენ, რომელიც ესპანიელია და მეტად მშვენიერი. პერიე ნერვებით ძალიან დაასუსტა ამ საყვარელ ქალთან დაკავშირების მოუხერხებლობამ. ამბობენ, ვითომ პერიე უბედური იყოს ქორწინების კავშირით. რამდენად მართალია ეს ჭორები, ძნელია ამისი თქმა; მაგრამ ამაზედ ლაპარაკობენ ყავახანებშიაც და პარლამენტის გასავალებშიც და თითქმის ყველგან.

ამ ჭორებსვე იმეორებს საფრანგეთის ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთობა. მაგალითად „Libre Parole“-ი და „Intrazigeant“-ი შემდეგს ამბავსაც იტყობინებიან, ვითომ პერიე ცოლს ეყრებოდეს.

**ინგლისი.** 9 იანვარს მომხდარს ინგლისის კაბინეტის სხდომას უკანასკნელად ჩინეთში გადმოსხმულ იაპონელ ჯარის შესახებ ჰქონდა მოლაპარაკება. სხდომის შემდეგ ადმირალს ფრიმენტლეს გაეგზავნა ახალი ინსტრუქციები, რომლის შინაარსიც ჯერ არავინ იცის. ტოკიოში მყოფს ინგლისის საელჩოს დეპეშით შეატყობინეს, რომ იაპონიას მოაგონოს ის აღთქმა, რომლითაც მას ჩიფუსა და სხ. ნეიტრალურ ზღვის პირის ქალაქებისათვის არ უნდა ეხლო ხელი. ის არავისთვის არ არის დაფარული, რომ ადმირალს ფრიმენტლს დავალებული აქვს, იაპონელებს ამისი ნება არ მისცეს და თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ძალითაც ეწინააღმდეგოს.

კაბინეტის ბჭობის შემდეგ ლორდს კიმბერლეს მთელი საათ-ნახევარი ჰქონდა ბაასი გერმანელს ელჩს გრაფ გაცფელდთან. ლონდონის დიპლომატიურს წრეებში არაჩვეულებრივი აღელვება ჰსუფევს იმის გამო, რომ ჰფიქრობენ, ვითომ გერმანელის ელჩისათვის წინადადება მიეცეს კიმბერლეს, ჩინეთის წყლებზედ შეერთებული სამხედრო მოქმედება იქონიონ ინგლისმა და გერმანიამ.

—

**იტალია.** უმაღლესს სამეფო ბრძანებაში, რომლითაც პარლამენტის სესსია დახურულ იქმნა, არ არის ნაჩვენები მიზეზები, რამ აიძულა მეფე, ასეთი განკარგულება მოეხდინა.

ამის შესახებ „Diritto“ აცხადებს, რომ პარლამენტის დათხოვნით მთავრობამ წყვდიადით მოცულ სივრცისაკენ მიჰმართა თვისი ნახტომიო და ეს ჩაიდინა იმისთანა კაცის გულისათვის, რომელზედაც არ შეიძლება თქმა, რომ იგი არ იყოს ჩირქ-წაცხებულიო. შემდეგ გაზეთი გვიჩვენებს იმ საფრთხეს, რომელიც მოსალოდნელია სახელმწიფო დაწესებულებათა შეუხებლობის მოსარჩლეობამ გამოიწვიოს, და ამბობს, მთავრობა დაბრმავებულიაო, რომ ხალხის აზრს, შეხედულებას პატივს არა სცემს, რის გამოც ეჭვი არ არის, ადვილი მოსალოდნელია, ინანოს კიდეც როდისმეო.

—

ჩინეთსა და იაპონიას შორის მოლაპარაკება ჯერ კიდევ ვერაფერსა ხდება. როგორც ვუწყით უკვე წინანდელის დეპეშებიდგან, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების დელეგატი ჯონ ფოსტერი გემ „Empress of India“-თი იოკაჰამაში მივიდა ამერიკიდგან, რომელსაც ჰსურს ჩინელებს დაეხმაროს ამ საქმეში.

მაგრამ იაპონიის შეგნებულს ხალხს არა, სჯერა, რომ ამ მოლაპარაკებას მალე მოჰყვეს სასურველი შედეგი, რადგანაც ჩინელებს იმედი აქვთ, რომ იაპონელებს ზამთარი შეაწუხებს და აიძულებს ჩინელებს შეურიგდნენ. ამ დროს განმავლობაში-კი ჩინეთი ხელ-ახლად შეიარაღდებოდა და ომს ახალის ძალით დაუწყებდა იაპონელებს.

იაპონელები კარგად ხედავენ თვისთ მოწინააღმდეგეთა ხრიკებს და ძველს პირობებს მხარს არ უხვევენ: დაიწყონ მოლაპარაკება მხოლოდ ცის ქვეშეთის იმპერიის სატახტო ქალაქებში,

## სასამართლოს მატიანე

—

გუშინ-წინ ტფილისის სამოსამართლო პალატაში განხილულ იქმნა სააპელაციო საქმე გორის მაზრის, ს. ქვემო ჭალის მცხოვრებელ დიმიტრი ლობაძის მოკვლის შესახებ. ეს მკვლელობა მოხდა 1892 წელს, 1 იანვარს, ალექსანდრე ამილახვარის სახლში, ვახშამზედ. ამ საქმის გამო სამართალში იყვნენ მიცემულნი: გრიგოლ პარკაძე, რომელსაც მკვლელობა ჰბრალდებოდა, ალექსანდრე ამილახვარი, მისი ცოლი ანნა და მართმადიდებელ ეკლესიის დიაკვანი ზაქარია გარსიშვილი, რომელთაც ბოროტ-მოქმედების დაფარვა ჰბრალდებოდათ.

სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა განაჩენი ტფილისის ოლქის სასამართლოსი, რომელმაც ბრალდებული პარკაძე სცნო უდანაშაულოდ, დანარჩენ ბრალდებულთ-კი მკვლელობის გამოუცხადებლობის გამო სამის თვით ციხე მიუსაჯა; ეს უკანასკნელნი მანიფესტის ძალით განთავისუფლებულ იქმნენ სასჯელისაგან.

---

ვის გზას, უნდა გამხდარიყო სავნებელი. მაგრამ, ნუ თუ პატრიოტობას არა აქვს სწორე გზა, სიმართლის სახე, დიდი დიდებული გზა მომავალის აშენებისათვის, კაცობრიობის საბოლოვოსათვის? ნუ თუ გარიბილდისა, ვაშინგტონისა, ფრანკლინისა, კოშუტისა, შტეინისა, გამბეტასი, აღმაშენებლისა და სხვათა ამგვართა პატრიოტულს გზას არა აქვთ სიმართლე და არ უჭირავთ დიდი ალაგი საკაცობრიო წარმატების გზაზედ? ასრე რომ უყუროთ საქმეს,—პატრიოტობა ცუდს გზაზედ დადგა, ამიტომ ის სავნებელიაო,—მაშინ რა საქმე-ღა დარჩება სასარგებლო? აიღეთ მეცნიერება. რა უნდა იყვეს ამაზედ წმინდა და სასარგებლო. მაგრამ, აბა გადაავლეთ თვალი, რა სახე მიიღო იმან წამხდარი ზნეობისა და ცუდი გარემოებას ხელში. ვინ იგონებს საწამლავსა?—მეცნიერება. ვინ იგონებს ხალხთა შესამუსრს იარაღს? მეცნიერება. ვინ იგონებს ხალხთა გასაჟლეტს და გასაღატაკებელს ღონესა?—მეცნიერება. წამლობაზედ წმინდა და მაღალი რაღა უნდა იყვესო, ამბობს ერთგან მოლიერი კომედიებისა და სცენის გაყრყვნის შესახებ, და ცუდთა კაცთა და გარემოებათა ხელში წამლობა საწამლავად გადაიქცა იქამდის, რომ რომიდგან ეს მაღალი საქმე დევნილ იქმნაო. და სხვა ამ გვარები. მაგრამ, განა აქ მეცნიერება, მკურნალობა რამე შუაშია თავის თავად?

ყველა სწავლის გაყრყვნა და წახდენა შეიძლება, უკეთუ კაცნი კარგად ვერ გაიგებენ იმის აზრს, მიზანს, ჩავარდება ის უკეთურთა კაცთა და გარემოებათა ხელში. აქ კაცთ შეაქვთ ამ სწავლაში თავისი ცუდი ხასიათები, ცუდი მიდრეკილებანი, სწავლა იყრყვნება, სიკეთის მაგიერად, ხდება სავნებელი. ამის მაგალითს გვიჩვენებს მანუს სწავლა ბრამინთა საკანონ-მდებლო წიგნში. აქ ეს წიგნი თხოულობს სიბრალულს, საერთო სიყვარულს, გატანას, ერთობას არამც თუ კაცთაგან კაცთა შორის, თვით კაცთაგან ყოველთა სულდგმულთა; ჰქადაგებს ქალთა და კაცთა თანასწორობას. ბოლოს უკეთურთა ხელში ეს წიგნი შეიცვალა ისრე, რომ მსგავსებაც-კი აღარ დარჩა ამ სწავლისა. აქ დედაკაცი ხდება „საკუთრება თავისი ქმრისა“, „დედაკაცი უნდა იყვეს სრულს მორჩილებაში მამაკაცისა“, დედაკაცი არაოდეს არ უნდა იქცეოდეს ისრე, როგორც თვითონა ჰფიქრობს, არ უნდა იქცეოდეს თავის ნებაზედ“. ერთის სიტყვით, რაკი ეს წიგნი გახდა სამოხელეო წიგნი ბრამინთა, მათ ეს ისრე გადაცვალეს, როგორც თვითონ უჯობდათ. აქ ბრამინთა თავისი თავები თითქმის ღმერთებად აქციეს, შეჰქმნეს თავისი თავი ღვთაებრივის ბუნებათ, ღვთის შვილებათ, შობილათ ღვთის (ბრამის) პირიდამ. ბრამინი არის ბატონი და გამგებელი ყველასი. ხალხი დაჰყვეს კასტებათ. ყველა კასტის ბოლოს მოაქციეს სუდრანი (მონანა), რომელთაც არავითარი უფლება არაფერზედ არა აქვთ, ყველა იმისი ნაშრომი, თვით ისინიც არიან საკუთრებანი ბრამინთა, და სხვა ამგვარები. ამგვარსავე მაგალითს გვიჩვენებს ბევრგან სწავლა ქრისტესი. ისა ბრძანებს: შეიყვარეთ მტერი თქვენი, როგორათაც თავი თქვენიო. ჩვენ-კი, არამც თუ მტერი არ შევიყვარეთ, მოყვარენიც მოვიძაგეთ. სახარება გვიწერს: მარჯვენა ყბაში რომ შემოგკრან, მარცხენაც მიუშვირეო. ჩვენ-კი, ქრისტიანნი, დაკვრასაც არავის ვაცდიდით, და ვისაც არა მგონია, არამც თუ ყბებს ვამტვრევთ, თოფ-ზარბაზნითა, ცეცხლით, საწამლავით ვუწყვეტავთ ცოლ-შვილს, ვუწვავთ სარჩო-საცხოვრებელს. სახარება ბრძანებს: ვისაც ორი პერანგი აქვს, ერთი სხვა უქონელს მისცესო. ჩვენ-კი არამც თუ ორი პერანგიდამ ერთსა და ათასიდამ ერთსაც არავის ვაძლევთ, და, პირიქით, ჩვენი ათასი პერანგები არიან შემდგარი სხვათა ტანიდამ გახდილი უკანასკნელი პერანგებიდამ. სახარებავე გვიქადაგებს გაიკითხეთ გლახაკნიო. ჩვენ-კი ჩვენი მილიონები შეგვირდგენია გლახების ცარცვით, ჩაგვრით, უკანასკნელი ლუკმის წარტაცებით. და სხვა და სხვა.

ცხადია, ვერც პატრიოტობა ასცდებოდა ცუდთა გარემოებათა და უკეთურთა კაცთა ხელში ცუდს გზას, მით უფრო, რომ როგორც ავხსენით, ის ისრეთს დროსა და საძირკველზედ აღდგო, რომ მხოლოდ ძალიან გვიან შეეძლო აწონვილს მართალს გზაზედ დამდგარიყო. ცხადია, მოსაწონი არა და სადევნელიც არის ამგვარი პატრიოტობა, რომელიცა დგას „გზასა წარმართთასა“ ეტანება სხვა ხალხების დამხობას, წახდენას, დამონავებას. მაგრამ, როგორც ზემოთაცა ვთქვათ, ნუ თუ პატრიოტობას არა აქვს სწორე და სამართლიანი გზა, გზა საკაცობრიო სასარგებლო? ავიღოთ მაგალითი. ბიზანტია, რომელიც იმ დროს იყო მოძღვარი კაცობრიობისა და რომელისაც გონებამ დასწავლამ ჩაუყარა საძირკველი დღევანდელს მეცნიერებას.—დაიპყრა უშვერმა, ველურმა ნადირმა ხალხმა—ოსმალომ. ოსმალო სჩაგრავს ბერძენთა, რომელნიც იდგნენ ბიზანტიის დიდების თავს, სტაცებენ უკანასკნელს, უხუთავენ სწავლას, მეცნიერებას, ეროვნებას, შინაურს წარმატებას. ნუ თუ აქ დიდებული და მართალი საქმე არ არის პატრიოტობა, რომ დაიცვას ჩაგრული ერი მტარვალთა და მძლავრთა ხელთაგან? ნუ თუ აქ ბერძენთ უნდა დაეკრიფათ გულ-ხელი და ეთქვათ: პატრიოტობა ცუდი საქმეა, კოსმოპოლიტობა კარგი: დეე ოსმალომ რაც უნდა დამართოს ჩვენს სამშობლოს, ჩვენ მარტო საკოსმოპოლიტო საქმეს უნდა ვემსახუროთო?—თუმცა, როგორც ვნახავთ ქვემოდ აქ პატრიოტობა ემსახურება სწორედ საკოსმოპოლიტო საქმეს. ნუ თუ იქ საქმე არა აქვთ პატრიოტთა და პატრიოტობა ყველას ვალი არ არის, სადაც ქვეყანა იჩაგრება სხვათაგან, იჩაგრება გარემოებათაგან, ეცემა ცოდნით, ზნეობით, გონებით და ამ ხალხს არა უშველის-რა, გარდა თავისის საკუთარის შვილების თავ-გამოდებისა, მხნეობისა, ცოდნით სამსახურისა? ნუ თუ იმ გვარი შვილი ქვეყნისა, რომელიც ამ გაჭირვებულს თავისს ხალხს ანებებს თავს, არა სწირავს ამას ყოველს თავის ღონეს და მიდის იმგვარი ხალხის სამსახურში, რომელიც ბევრით უკეთესს მდგომარეობაშია ამის ხალხზედ, ისრეთივე შემცოდე და დამნაშავე არ არის, და უფრო მეტიც, ვიდრემ იმგვარი პატრიოტნი, რომელნიც, თავისი ხალხის გასაძლიერებლად, სჩაგრამენ და იმონავებენ სხვა თავისუფალთა ერთა? ეს მოკლე მაგალითიც გვიჩვენებს, რომ პატრიოტობას არ აღევს ყოველთვის ცუდი სახე, რომ გამორკვეული, აწონვილი, მართალს გზაზედ დამდგარი პატრიოტობა არის წმინდა საქმე, არის საქმე მაღალი, ზნეობრივი სავალდებულო ყოველი პატიოსანი კაცისა, რომელიც ეკუთვნის დაჩაგრულს, მართალს გზაზედ დამდგარს ერს.

აქ გზა აქცეულს კოსმოპოლიტიზმს აქვს ამ გვარი პასუხი.

საჭირო არ არის დაცვა ეროვნებისა მჩაგრავთა და დამპყრობელთაგან, რადგან ეს აშორებს ერებს ერთმანერთს

## წერილები რედაქციის მიმართ

### I.

გთხოვთ უმორჩილესად, სიმართლის აღსადგენად მისცეთ ადგილი „ივერიაში“ ამ მცირე წერილს. ამ მდგომარე წლის, 14 იანვრისა გამო, მე 11 №-ში იყო შენიშვნა შესახებ ქართულის გალობისა.

„რაც შეეხება სემინარიის ქართულ ხოროს უნდა ვსთქვათ, რომ გალობა უკეთესი გაგვიგონია სხვა დროს ამავე სემინარიელებისაგან, თუმცა ამ დღეს უკეთესად უნდა ეგალობნათ, რადგანაც თვით მ. ვ. კარბელაშვილი ჰლატბარობდა ხოროს“, ვითხოვ უმორჩილესად, რომ დაგვისახელონ ისინი, რომელთაც წინა წლებში ამ დღეს და საზოგადოდ უკეთესად იგალობეს, რაც ამ დღეს ნაგალობევი იყო. მიგვითითონ იმ ადგილებზედ, რომელთაც შეარყიეს, შელახეს ხასიათი ქართულის საეკლესიო გალობისა, რომელიც ისე მდიდარია (ბოლოს არჩევნებს), რომ იმის სიმდიდრე არამც თუ ჩემ მიერ, ათასჯერ ჩემზედ უკეთესნიც ათასი კაცი ყოვლის ფრთით აღჭურვილნიც ვერ აღმოავსებენ, და ტყუილად კი ჰლახვენ ამ გალობის სიმდიდრეს, დაასაბუთოს სახარების კითხვიდან პარაკლისის ნახევრამდის რაც იყო, შებღალული და შელახული.

მღ. ვას. კარბელაშვილი.

იანვარს
ტფილისი.

---

### II.

მოწყალეო ხელმწიფევ,
ბატონო რედაქტორო! *)

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გადავუხადო ქალბატონთ ვნ. ი. ა. ფაღავასას, მ. ელიავასას, მ. ღლონტისას, ლ. და ა. ჩხიკვაძეთა და ბატონთ სტ. ხარაზოვს, ე. ბერძენიშვილს, ნ. ჯაუელს და ა. ბ-ძეს, რომელთა მეცადინეობით და შრომით წარსულ შემოდგომაზედ ქ. ბათუმში გამართული იყო ქართული წარმოდგენა და ხელის მოწერა ჩემდა მატერიალურის დახმარების აღმოსაჩენათ. ამ გზით მოკრებილი 163 მანეთი (70 მ. წარმოდგენიდგანო, 93 მ. ხელის მოწერიდგან) დრო გამოშვებით უკვე მივიღე. მადლობას ვუცხადებ აგრეთვე პატივცემულ ბათუმის საზოგადოებას, რომელიც თანაგრძნობით მიეგება ხსენებულ კაცთა მოწოდებას ჩემდა დახმარებად.

სტუდენტი ს. გოგიტიძე.

კიევი.
10 იანვ. 1895 წ.

*) ბოდიშს ვითხოვთ ჩვენის მკითხველების წინაშე, რომ ჩვენის სტუდენტების და მათ მდგომარეობის შესახებ ყოველივე ჩვენ მიერ მიწოდებული ცნობა შეიცავს იმას, თუ ვინ რა შემწეობა აღმოუჩინა იმათ და ან რომელმა მათთაგანმა როდის დაამთავრა სწავლა... მხოლოდ კიევისა და ოდესის უნივერსიტეტების სტუდენტები სთვლიან საჭიროდ, ამ ცნობების მოწოდების გარდა, გაუზიარონ მკითხველს საზოგადოებას თავიანთი მოსაზრება და გულის პასუხი.

რედ.

---

დაპყრობილნი ერნი, რაც უფრო მალე იცვლიან ფერს, გაიხდიან თავის საეროვნო ქერქს შეუერთდებიან თავის დამპყრობთა, მით უფრო ახლოვდება დრო კაცობრიობის გაერთებისა, საკაცობრიო ინტერესების შეერთებისა.

მინამ შეუდგებოდეთ დაწვრილებით ამ პასუხის გარჩევას, საჭიროა მოვიყვანოთ პასუხი, რომელსაც იძლევა ამაზედ ჩვენგნით ამ წერილში ხშირად დასახელებული გერმანელების გამოჩენილი მეცნიერი ფრიდრიხ ლისტი. ის ამბობს „კაცობრიობის გაერთება რომ მარტო ერთი რომელიმე ხალხის პოლიტიკური და ეკონომიური ძალით მოხდეს, ეს ის იქნება, რომ ამ ერთის ერისა დანაშთენნი ერნი გახდნენ მონანი, რაიცა დაჰღუპავს ამ ცანაშთენს ერებს. აქ განმეორდებოდა ის, რაც ძველადაც უყოფილა, რაცა სწადდათ რომაელთ შეესრულებინათ ვაჭრობისა და იარაღის ძალით. როგორც ძველად, ისრე ეხლაც ამ გვარს პოლიტიკას მოჰყვებოდა ბარბაროსობა.

ეს გვესმის იმგვარი მეცნიერისაგან, რომელსაც ამგვარს საქმეზედ აქვს საკმაო ვრცელი გამოკვლევა.

შეუდგეთ დაწვრილებით კოსმოპოლიტთა ამ პასუხის გასინჯვას, რამოდენათაც დრო და გარემოება გვაძლევს ამის ნებას.

ანტონ ფურცელაძე.

(შემდეგი იქნება)

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან)

17 იანვარი

**პეტერბურგი.** *) დღეს. 17 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზედ, საზამთრო სასახლეში მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ დეპუტაციებმა მიულოცეს ქორწინება. ორს საათზედ დეპუტაციები შეიკრიბნენ სასახლეში. იქავე იყვნენ შინაგან საქმეთა მინისტრი დურნოვო, სამხედრო—ვანნოვსკი და სხვანი წარჩინებულნი. დარბაზში გამწკრივებულნი იდგნენ დეპუტაციები თავად-აზნაურობისა, საქალაქო საზოგადოებათა, ერობათა და სამხედრო დეპუტაციანი. ცალკე სტოლზედ ელაგა პურმარილი დეპუტაციათა. სხვათა შორის იდგა კავკასიის ნამოქმედარი ტაბაკი პურ-მარილით—ოსთაგან, საუცხოო მოოქროვებული ტაბაკი სევადით ჩეჩენებისა, რომელიც შემკული იყო სოფლის მეურნეობის იარაღით და მხედრობის დამტვრეულის იარაღით. შემდეგ იყო ყაბარდოელთა მოოქროვებული ტაბაკი პურ-მარილით და სხვანი. ორს საათზედ ნიკოლოოზის დარბაზში შემოვიდა ხელმწიფე იმპერატორი, რომელსაც თან ახლდნენ სახლთ-უხუცესი, შინაგან საქმეთ მინისტრი, სახლთ-უხუცესის თანაშემწე ბარონი ფრედერიქსი და გოფ-მარშალი გრაფი ბენკენდორფი. მისი უდიდებულესობა პრეობრაჟენსკის რაზმის პოლკოვნიკის მუნდირში იყო და წმ. ანდრიას ლენტი ჰქონდა გაკეთებული. როდესაც ხელმწიფე იმპერატორი შუა დარბაზს მიუახლოვდა, თავად-აზნაურთა, ქალაქთა, ერობათა და სამხედრო დეპუტაციათ, რომელთაც მთელის რუსეთიდგან მოეყარათ თავი ერთგულ-ქვეშევრდომულ გრძნობათა განსაცხადებლად იმათის უდიდებულესობის ქორწინების გამო, შემდეგი სიტყვა სთქვა:

„მოხარული ვარ ნახვასა ყველა წოდებათა წარმომადგენელთა, რომელნიც იმიტომ შეკრებილან, რომ ერთგულ-ქვეშევრდომული გრძნობანი განაცხადონ. მრწამს გულ-წრფელობა ამა გრძნობათა, რომელიც ძველის-ძველადვე უოველის რუსის თვისებაა; მაგრამ მე ვიწყი, რომ ამ ბოლოს დროს ზოგიერთ ერობათა შეკრებილებაში გაისმოდა ხმა იმ კაცთა, რომელნიც გატაცებულნი არიან უაზრო ოცნებით, ვითომ შესაძლებელი იყოს, რომ ერობათა წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღონ შინაგან საქმეთა მმართვის საქმეებში. დეე იცოდეს ყველამ, რომ ვწირავ რა ჩემთა ძალ-ღონეთა ერის კეთილდღეობას, დავიცავ თვით-მპყრობელობის დედა-აზრს ისევე მტკიცედ და გზის გადაუხვევლად, როგორც იცავდა ჩემი დაუვიწყარი განსვენებული მშობელი“.

ხელმწიფე იმპერატორის სიტყვას მოჰყვა აღტაცებულის „ურა“-ს ძახილი, რომელიც ხანგრძლივ გაისმოდა დარბაზში.

შემდეგ მისი უდიდებულესობა საკონცერტო დარბაზში გადავიდა; აქვე გამობრძანდა ხელმწიფე იმპერატრიცა წმ. ეკატერინეს ლენტით. აქ მიულოცეს დეპუტაციებმა. მეხუთე საათზედ თავად-აზნაურობისა საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლნი, მისალოცავად მოსულნი, სასახლიდგან წავიდნენ ყაზანის ტაძარში, სადაც სამადლობელი პარაკლისი გარდაიხადეს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის მიერ წარმოთქმულ შესანიშნავ სიტყვათა გამო.

„ნოვოსტ.“-ის გაუგონია, ბოლგარიის მმართველები ყოველ ღონისძიებასა ჰხმარობენ, რომ წინა აღუდგნენ ცანკოვისა და კარაველოვის არჩევანსაო.

**პარიზი.** მარშალი კანრობერი გარდაიცვალა.

*) ეს დეპეშა ჩვენ მოგვიდა გუშინ საღამოს უკვე გვიან და ამის გამო ვერ დაიბეჭდა გუშინდელს ნომერში. რედ. [illegible]

---

პეტერბურგის ბირჟა, 17 იანვარი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდ-ულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | 7,43 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 147,40 | 148 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | 229,25 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 225 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგები ფურცელი . | — ,, | — ,, | 200 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | 101 |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | 98½ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | 101 |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | 98¾ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | — ,, | — ,, |

## განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ვ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)


---


ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, 1881 წლის, 17 თებერვლის ბანკის §15 წესდების ძალით, ამით აცხადებს, რომ ამა 1895 წლის 20 თებერვალს, დღის 12 საათზედ, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, ვაჭრობის გადაუდებლად მოხდება საჯაროდ გასყიდვა უძრავ ქონებისა, რომელიც ელისაბედ პავლეს ასულის შუტოვისა იყო და დარჩა ბანკს; მამული იმყოფება ტფილისის გუბერნიისა და მაზრის სოფელს დიდ-ენაგეთში, რომელსაც შეადგენს სახნავი მამული, ზომით 17 დესეტ. და 1780 ოთხ კუთხი საჟ. ვაჭრობა დაიწყება 340 მან. 14 კაპეიკიდგან, ნამდვილი ვალია დარჩენილი 182 მან. და 70 კაპ. და ვადაზედ შეუტანელი გარდასახადი 157 მან, 44 კაპ., სულ 340 მან. 14 კაპ., რომელსაც ზედ დაემატება საერო და საქალაქო შეუტანელი გარდასახადი. ძირეული ვალი შეიძლება გარდახდილ იქმნას გირავნობის ფურცლებითაც იმათ დარქმეულ ფასისამებრ მანათი მანათად და აგრეთვე შეიძლება ბანკის თანხმობით მყიდველს დაეკისროს სავადო და სხვა შეუტანელი გარდასახადი-კი მხოლოდ ნაღდის ფულით შეიძლება იქმნას შეტანილი.

იმ შემთხვევაში, თუ დანიშნულის ვაჭრობით ვერ გაიყიდა მამული, მაშინ ბანკის § 21 წესდების ძალით მეორედ და უკანასკნელად იქნება დანიშნული ვაჭრობა ამ წლის 7 მარტისათვის.

(1—ნ.—1)


---


გამოვიდა და ისყიდება
ზაქარია გრიქუროვის „კავკაზის“ წიგნის მაღაზიაში მის მიერ გამოცემული
არ. ქუთათელაძის

**გრამატიკა**

ფასი ორი აბაზი

(3—ნ.—3)


---


**ცხოვრება**

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.


---


დამზღვევი საზოგადოება

**„იაკორი“**

(ღ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კი თვით დაზღვეული თანხაც—10,000 მან.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, კავკასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2) და იმპერიის ყველა ქალაქების საგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში.


Дозволено цензурою, Тифлисъ 18-го Января 1895 г.  სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.